ხელშეკრულება N001/გ.შ.
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **10 იანვარი 2011 წელი**

შემსყიდველი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მინისტრის პირველი მოადგილის ჯამბულ სურმანიძის სახით.
მისამართი: ქ. ბათუმი, აკად. მ.კომახიძის ქ.N119
საკონტაქტო ტელეფონები: 4-79-70
საბანკო რეკვიზიტები: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური - ს.ს. ,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიში NGE78BG0000000886744500
საიდენტიფიკაციო კოდი 245428755
მიმწოდებელი: შ.პ.ს. ,,ზარაფხანა'' დირექტორის ეკატერინე სოფიას სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N15
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს.,,ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია''
ბ.კ. UGEBGE22, ს/კ 202445540, ანგ.N GE35VT6600005557773608

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მინისტრის პირველი მოადგილის ჯამბულ სურმანიძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი'') ხოლო მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ზარაფხანა''-ს დირექტორის ეკატერინე სოფიას სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10[I] მუხლის 3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი'' თანახმაა მიაწოდოს ,,შემსყიდველს'' სამინისტროს აპარატის ასიგნებათა ფარგლებში უცხოეთში საერთაშორისო მიღებაზე მასპინძელი მხარისათვის გადასაცემად სუვენირები (შემდგომში ''საქონელი''), ხოლო ,,შემსყიდველი'' კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 364,80 (სამას სამოცდაოთხი ლარი 80 თეთრი) ლარს.
1.3. შესასყიდი საქონლის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა N3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად სასაქონლო ზედდებულის ან ანგარიშფაქტურის წარმოდგენისა ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

2.3. მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის და/ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.
2.4. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
2.5. ,,შემსყიდველი'' ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს ,,მიმწოდებელს'' საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

3. გარანტია

3.1. ,,მიმწოდებელი'' იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.
3.2. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე შეცვალოს საქონელი ან უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
3.3. ,,მიმწოდებლის'' მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურეობის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
4.2. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია ანგარიშფაქტურაზე მიუთითოს წარმოდგენილი საქონლის რაოდენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშფაქტურა.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების

შეუსრულებლობის გამო

8.1. ,,შემსყიდველს'' შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ ,,მიმწოდებელს'' არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ,,შემსყიდველს'' შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ ,,შემსყიდველისათვის'' ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) ,,მიმწოდებლის'' გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში ,,შემსყიდველი'' ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს'' ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ან გამოცადოს საქონელი. ,,შემსყიდველმა''

წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს ,,მიმწოდებელს'' ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
9.2. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ძალებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
9.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ,,შემსყიდველმა'' და ,,მიმწოდებელმა'' ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2011 წლის 1 მარტამდე.

15.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

16. გადასახადები და ბაჟები

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მინისტრის პირველი მოადგილე	დირექტორი
ჯამბულ სურმანიძე	ეკატერინე სოფია

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა №3

შ.პ.ს. „ზარაფხანა"

№	საქონლის აღწერილობა	ცალი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	სუვენირი -ლომი	ცალი	2	69.0	138.0	ქ. ბათუმი	1.02.2011-მდე
2	სუვენირი -სალამურა	ცალი	1	48.0	48.0	ქ. ბათუმი	1.02.2011-მდე
3	სუვენირი -ვერძი	ცალი	1	77.0	77.0	ქ. ბათუმი	1.02.2011-მდე
4	სუვენირი -ირემი	ცალი	1	121.0	121.0	ქ. ბათუმი	1.02.2011-მდე
				მინუს 5%-იანი ფასდაკლება			
	სულ				364.80ლარი		

მთლიანი თანხა: სამას სამოცდათხი ლარი 80 თეთრი

დირექტორი ეკატერინე სოფია